შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY OF GEORGIA LTD

N 04/19
24/01/2023

19-04-2-202301241508

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ 2022 წლის 23 დეკემბრის N 04/477 წერილთან დაკავშირებით, დამატებით გიგზავნით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 28 დეკემბრის N 5/72748 წერილს.

აღნიშნული წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი ქვემო ქართლის რეგიონში, ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობის პროექტის განხორციელების მიზნით, შპს - საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ განხორციელდეს გარემოსდაცვითი ნებართვის მოსაპოვებლად საჭირო ღონისძიებები.

დანართი: 2 ფურცელი

გიორგი შუხოშვილი

დირექტორი

საქართველო, 0186, ა.პოლიტკოვსკაიას 14, ტელ: (+995 32) 438 830; mail: info@waste.gov.ge

14 A.politkovskaya str, 0186, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 438 830; ს/კ: 404942470

KA021761636152522

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel:1420
info@nasp.gov.ge

N5/72748 28 / დეკემბერი / 2022 წ.

შპს - საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი თქვენი 15.11.2022 წლის N04/433 წერილის პასუხად, რომლითაც მოთხოვნილია ქვემო ქართლის რეგიონში, ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობის პროექტის განხორციელების მიზნით გარემოსდაცვითი ნებართვის მოსაპოვებლად სახელმწიფოს მხრიდან თანხმობის გაცემა, ზემოხსენებული პროექტის განსახორციელებლად შერჩეული ტერიტორიის მიმდებარედ სახელმწიფოს საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების - წყალსაქაჩის (ს/კ N84.10.38.000.031) გამო, გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს მელიორაციის“ 07.12.2022 წლის Nგ-4091 წერილის გათვალისწინებით სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი ქვემო ქართლის რეგიონში, ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობის პროექტის განხორციელების მიზნით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიასთან, შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებით შპს - საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ განხორციელდეს გარემოსდაცვითი ნებართვის მოსაპოვებლად საჭირო ღონისძიებები უსაფრთხოების ნორმებისა და კანონით დადგენილი წესების სრული დაცვით, იმ პირობით თუ ზემოაღნიშნული ქმედების განხორციელების შედეგად არ გაუარესდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება, ამასთან სახელმწიფოს არ უნდა წარმოეშვას რაიმე სახის ვალდებულება, ზიანი არ უნდა მიადგეს სახელმწიფო ქონებას და სრულად უნდა იქნას დაცული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები.

დანართი: 1 ფურცელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე

საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-4091
07/12/2022

4091-გ-2-202212071735

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“

კერძო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის

უფროსს ქალბატონ ლია ხუციშვილს

ქალბატონო ლია,

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შემოსულია სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 18.11.2022წ. N5/64834 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ წინწყაროში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 84.10.38.000.046 და ს/კ 84.10.38.000.017) ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობის პროექტის განხორციელების მიზნით გარემოსდაცვითი ნებართვის მოსაპოვებლად სახელმწიფოს მხრიდან თანხმობის გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ მიეცა თანხმობა შპს „საქართველოს მელიორაციის“ 08.06.2022წ. Nგ-1633 წერილით, ჩვენი კომპანიის კუთვნილი მილების გადაკვეთაზე, გზის მოწყობის სამუშაოების წარმოდგენილი პროექტის მიხედვით. აქვე გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 84.10.38.000.046 და ს/კ 84.10.38.000.017) და მათ მიმდებარედ შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებად რეგისტრირებული სხვა ქონება არ მდებარეობს.

პატივისცემით,

გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი